ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) წინასაარჩევნო დელეგაციის ანგარიში

თბილისი, საქართველო, 21 ივლისი, 2017

წინამდებარე ანგარიში მომზადებულია ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) საერთაშორისო დელეგაციის მიერ. დელეგაციის მიზანია: ოქტომბრის ადგილობრივი არჩევნებისთვის მზადების ზუსტი და მიუკერძოებელი შეფასება; ზოგადი პოლიტიკური გარემოს ანალიზი; იმ ფაქტორების შესწავლა, რომელსაც საარჩევნო პროცესის კეთილსინდისიერად წარმართვაზე გავლენის მოხდენა შეუძლია; და რეკომენდაციების გაცემა, რომელიც მშვიდობიანი, სანდო არჩევნებისა და პროცესის მიმართ საზოგადოების ნდობის ამაღლების მიზნით წარმოებულ დიალოგსა და კონსენსუსის მიღწევას ემსახურება. NDI გრძელვადიან დამკვირვებელთა ჯგუფებს აგვისტოში ჩამოიყვანს, რასაც არჩევნების დღეს საერთაშორისო სადამკვირვებლო მისია დაემატება.

დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: ქეთრინ ნუნი, ირლანდიის სენატის თავმჯდომარის მოადგილე და სპიკერი ბავშვთა და ახალგაზრდების საკითხებზე; დევიდ კრამერი, აშშ-ის სახელმწიფო მდივნის ყოფილი თანაშემწე დემოკრატიის, ადამიანის უფლებებისა და შრომის ბიუროში; იანუშ ონიშკევიჩი, პოლონეთის ყოფილი თავდაცვის მინისტრი და პარლამენტის ყოფილი წევრი; ლორა თორნტონი, NDI-ის საქართველოს ოფისის დირექტორი; მარია ბაბიჩი, დამოუკიდებელი ექსპერტი საარჩევნო საკითხებზე; მელისა მუსიო, NDI-ის საქართველოს, თურქეთისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების პროგრამების დირექტორი; და მაიკლ მაკნოლტი, NDI-ის საარჩევნო პროგრამების უფროსი მენეჯერი. დელეგაციამ საქმიანობა საქართველოს კანონმდებლობის და *არჩევნების საერთაშორისო დაკვირვების პრინციპების შესახებ დეკლარაციის*[1] დაცვით აწარმოა.

17-21 ივლისის პერიოდში დელეგაცია თბილისში შეხვდა: ფართო პოლიტიკური სპექტრის წარმომადგენელ კანდიდატებსა და პარტიებს; ცენტრალური საარჩევნო კომისიის (ცესკოს) წევრებს; სახელმწიფო აუდიტის სამსახურს; თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისთვის უწყებათაშორის კომისიას; პრეზიდენტს; პრემიერ

[1] პრინციპების შესახებ დეკლარაცია 2005 წელს გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ შეიმუშავა. დეკლარაცია შეგიძლიათ იხილოთ აქ www.ndi.org/DoP.

მინისტრს; საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციას; რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის წარმომადგენლებს; შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს; სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებს, მათ შორის საარჩევნო სადამკვირვებლო ჯგუფებს; პარლამენტის წევრებს; მედიის წარმომადგენლებს; საერთაშორისო საზოგადოებისა და დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლებს. დელეგაცია მადლობას უხდის ყველას, ვინც დრო დაუთმო შეხვედრებს და თავისუფლად გამოხატა საკუთარი შეხედულებები. დელეგაცია ასევე მადლობას უხდის დემოკრატიის მხარდაჭერის ეროვნულ ფონდს (NED) და ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მისიის მხარდაჭერისთვის.

NDI არ აპირებს, ჩაერიოს საქართველოში მიმდინარე საარჩევნო პროცესებში და მიიჩნევს, რომ არჩევნების სანდოობასა და ქვეყნის დემოკრატიულ განვითარებას საბოლოოდ საქართველოს მოსახლეობა შეაფასებს. შესაბამისად, წინამდებარე ანგარიშს დელეგაცია საქართველოში დემოკრატიული ინსტიტუტებისა და პროცესების მხარდაჭერისა და გაძლიერების სულისკვეთებით წარმოადგენს.

შეჯამება

ქართველებს ბევრი მიღწევით შეუძლიათ იამაყონ. ქვეყანა რთულ სამეზობლოში გამორჩეულია. საქართველოს წარმატება წვრილმანი კორუფციის აღმოფხვრის სფეროში საერთაშორისო მოდელად იქცა. ქვეყანამ ევროკავშირთან ასოცირების შეთანხმებას მოაწერა ხელი და დასავლელ მეზობლებთან ვიზა ლიბერალიზაციას მიაღწია. აღნიშნულ ნაბიჯებს საქართველოს მოსახლეობაში ფართო მხარდაჭერა აქვს და დღემდე განხორციელებული რეფორმების წარმატების მაჩვენებელია.[2] პლურალიზმი პოლიტიკური და სამოქალაქო ლანდშაფტის ნაწილია, ამასთანავე დაცულია გამოხატვის, შეკრებისა და გაერთიანების ძირითადი თავისუფლებები. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები პოლიტიკურ ცხოვრებაში აქტიურ როლს თამაშობენ. საქართველო შეუერთდა ღია მმართველობის პარტნიორობას და წელს მისი თავმჯდომარე ქვეყანაა. კონკურენტული, მრავალპარტიული არჩევნები ჩვეულ ნორმას წარმოადგენს. ამომრჩევლებს მრავალფეროვანი პოლიტიკური არჩევანის გაკეთების საშუალება აქვთ და საარჩევნო პროცესების მიმართ ნდობა მაღალია.[3] გასული წლის საპარლამენტო არჩევნები მოქალაქეების აზრით იყო უსაფრთხო, კარგად ორგანიზებული და დაშინებისგან თავისუფალი. ამასთან,

[2] NDI-ის 2017 წლის აპრილის კვლევაში ევროკავშირის მხარდამჭერთა რიცხვი 2016 წლის ნოემბრის კვლევასთან შედარებით 72%-დან 80%-მდე გაიზარდა.

[3] NDI-ის 2016 წლის ნოემბრის კვლევის მიხედვით, მოქალაქეთა 96%-მა არჩევნები შეაფასა, როგორც უსაფრთხო და კარგად ორგანიზებული, 93%-მა კი განაცხადა, რომ საარჩევნო გარემო დაშინებისგან თავისუფალი იყო.

საერთაშორისო დამკვირვებლებმა არჩევნები სანდოდ შეაფასეს. მნიშვნელოვანია, რომ ქვეყნის დემოკრატიულ მომავალს საქართველოს მოქალაქეები ერთხმად უჭერენ მხარს. კვლევის ამგვარი მაჩვენებლები საშუალებას აძლევს საქართველოს სანდო არჩევნების ჩატარების დადებითი კურსი გააგრძელოს.

საქართველო ემზადება ადგილობრივი არჩევნებისთვის და, ამავე დროს, ახორციელებს წინააღმდეგობრივ საკონსტიტუციო, საარჩევნო და ადგილობრივ რეფორმებს. ამ პროცესში ორი პარალელური საქართველო გამოიკვეთა. ერთი, რომელიც დანახულია მმართველი პარტიის ქართული ოცნების მიერ და ხასიათდება მცირე დემოკრატიული გამოწვევებით: პოლიტიკური ზეწოლისგან თავისუფალი მედია გარემო; საარჩევნო და პოლიტიკური საქმეების დროული და მიუკერძოებელი გადაწყვეტა; ჯანსაღი და პლურალისტური პოლიტიკური კონკურენცია; და რეფორმები, რომლის მიზანი ქართული ოცნებისთვის პოლიტიკური სარგებლის მოტანა არ არის. მეორე რეალობა, რომელიც გაზიარებულია პროცესში ჩართული თითქმის ყველა სხვა მხარის მიერ, რომელსაც დელეგაცია შეხვდა, ამ ხედვისგან მკვეთრად განსხვავებულია და გამოირჩევა: კანონის არათანაბარი გამოყენებით; დაუბალანსებელი საარჩევნო გარემოთი; მმართველი პარტიის ინტერესებზე მორგებული რეფორმებით; ალტერნატიული მოსაზრებებისთვის სულ უფრო კლებადი მედია სივრცით; არაფორმალური მმართველობით; და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენებით. პოლიტიკური გარემოს განსხვავებული შეფასებები და მმართველი პარტიის თვითიზოლაცია უფრო მეტ შინაარსობრივ და ინკლუზიურ კონსულტაციებსა და განხილვებს მოითხოვს. ამის უგულებელყოფამ შესაძლოა, ქვეყნის დემოკრატიულ მიღწევებს ჩრდილი მიაყენოს და არასტაბილურობა გამოიწვიოს.

საქართველოს მოქალაქეებს თავისი ლიდერებისა და ინსტიტუტების მიმართ მაღალი სტანდარტები აქვთ დაწესებული. ასევე საარჩევნო პროცესის სანდოობის მიმართ მათი მოლოდინი მაღალია. ამ ამბიციებისა და ფართო დემოკრატიული პროცესების მხარდაჭერის გათვალისწინებით, დელეგაციამ საარჩევნო პროცესებთან დაკავშირებით რამდენიმე ძირითადი გამოწვევა და შესაძლებლობა გამოკვეთა. საარჩევნო ადმინისტრაცია თითქმის ყველა მხარის ნდობით სარგებლობს, თუმცა რჩება სფეროები, რომელიც გაუმჯობესებას საჭიროებს. არჩევნების დღესთან ძალიან ახლოს სამი წინააღმდეგობრივი რეფორმის პროცესი მიმდინარეობს, რომელსაც გამჭვირვალობა და ჩართულობა აკლია: ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება, რომელიც საქართველოსთვის ძირეული და დიდი ხნის პრობლემაა, ფართომასშტაბიანი შეშფოთების საგნად რჩება; მედიის გამოწვევაა, საზოგადოებას მიაწოდოს სანდო ინფორმაცია მათი საარჩევნო ალტერნატივების შესახებ იმ პირობებში, როცა - ერთი შეხედვით - პლურალისტური პოლიტიკური დისკუსიებისთვის სივრცე სულ უფრო ვიწროვდება; სიძულვილის ენა და დეზინფორმაცია საარჩევნო გარემოში მტრულ დამოკიდებულებებს იწვევს.

საქართველოს დემოკრატიული გზის კრიტიკულ გასაყარზე, 2017 წლის ოქტომბრის არჩევნებს, რომლის ზუსტი თარიღი ჯერ არ არის დადგენილი, დიდი მნიშვნელობა ენიჭება. ეს არჩევნები საქართველოს აძლევს შესაძლებლობას, უპასუხოს ძირეულ საარჩევნო გამოწვევებს. რადგან საქართველო სამართლიანად ამაყობს თავისი დემოკრატიული და ევროპული არჩევანით, კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რომ ქვეყანამ სრულად გაითვალისწინოს წარსულში გაცემული რეკომენდაციები. საქართველოს აქვს უნარები, დრო, მხარდაჭერა, გამოცდილება და რესურსები, რომ რეკომენდაციების დიდი ნაწილი გაითვალისწინოს. ამისთვის საკმარისი პოლიტიკური ნებაა საჭირო.

პოლიტიკური კონტექსტი

საქართველო ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს მდიდარი დემოკრატიული მონაპოვრით უახლოვდება. საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ ბევრი მიღწევით იამაყონ, მათ შორის დინამიური პოლიტიკური გარემოთი და ქვეყნის დემოკრატიული განვითარების ძალიან ძლიერი მხარდაჭერით.

თუმცა, წინასაარჩევნო პერიოდში დელეგაცია ორ პარალელურ და განსხვავებულ საქართველოს წააწყდა: ერთი, რომელიც დანახულია მმართველი პარტიის ქართული ოცნების ლიდერებისა და თანამდებობის პირების მიერ და მეორე, რომელიც დელეგაციასთან შეხვედრებზე ყველა სხვა ჯგუფმა - ადგილობრივმა და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციებმა და დამკვირვებლებმა, ყველა სხვა საპარლამენტო და არასაპარალმენტო პარტიამ და კანდიდატმა, პრეზიდენტის ადმინისტრაციამ, და მედია ორგანიზაციებმა - აღწერა. პირველი ჯგუფის აზრით, დემოკრატიული გამოწვევები მცირეა: მედიის თავისუფლებას და ხელმისაწვდომობას საფრთხე არ ემუქრება; საარჩევნო და პოლიტიკური საქმეების განხილვა სწრაფად და მიუკერძოებლად ხდება; სამართლიანი პოლიტიკური კონკურენციის კუთხით დაბრკოლებები მცირეა და კონსტიტუციური თუ სამართლებრივი რეფორმები მხარეების თანამონაწილეობით და დემოკრატიული პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით ხორციელდება.

ყველა სხვა ჯგუფის პერსპექტივით, ქვეყანაში მნიშვნელოვანი დემოკრატიული გამოწვევებია: დავების გადაწყვეტისას ხდება კანონის არათანაბარი და პოლიტიკური გამოყენება; პარტიები და კანდიდატები არათანაბარ მდგომარეობაში იმყოფებიან; ხდება ზეწოლა დაფინანსების პოტენციურ წყაროებზე; სამართლებრივი და საკონსტიტუციო რეფორმები მმართველი პარტიის პოლიტიკურ ინტერესს ემსახურება; ალტერნატიული მოსაზრებების გამოთქმისთვის მედია სივრცე მცირდება; და ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება ხდება, მათ შორის სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ჩარევით. აუცილებელია აღინიშნოს, რომ

ზოგიერთი აქ ჩამოთვლილი საკითხი ამჟამინდელი მთავრობის ხელისუფლებაში მოსვლამდეც აქტუალური იყო და ბოლო 10 წელზე მეტი ხნის განმავლობაში ქვეყნის პოლიტიკური გარემოს შემადგენელი ნაწილია. ამასთან, მათი თქმით, ძალაუფლება და გადაწყვეტილების მიღება არა არჩეული მთავრობის ლიდერთა, არამედ კულისებს მიღმა არაფორმალური მმართველის ხელშია.

შეხედულებების ამგვარმა მკვეთრმა განსხვავებებმა შესაძლოა, გავლენა იქონიოს საზოგადოების ნდობაზე და დროთა განმავლობაში არასტაბილურობას შეუწყოს ხელი. მიუხედავად განსხვავებული მოსაზრებების სიზუსტისა, დიდ უმრავლესობას და ძალაუფლების კონცენტრირებას თან სდევს საზოგადოების ნდობის მოპოვების, თანაბარი შესაძლებლობების შექმნისა და ალტერნატიული შეხედულებების არსებობის უფლების უზრუნველყოფის და პარტიული კუთვნილების მიღმა კონსენსუსის მიღწევის პასუხისმგებლობა. ამასთან, დემოკრატია ეყრდნობა ოპოზიციის არსებობას, რომელიც კონსტრუქციულად ერთვება პოლიტიკურ პროცესში და შეუძლია კონკრეტული და ქვეყნისთვის სასარგებლო ალტერნატიული ხედვის შემოთავაზება.

ადგილობრივი არჩევნები მნიშვნელოვანია. პირველი კონტაქტი მთავრობასა და მოქალაქეებს შორის ადგილობრივი ხელისუფლების დონეზე ხდება. ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლები ზედამხედველობას უწევენ მოსახლეობისთვის ადგილობრივად მნიშვნელოვან საკითხებს, მათ შორის გზებს, საბავშვო ბაღებს, ნაგვის გატანას, და გარემოს. ადგილობრივი ხელისუფლების წარმატებული საქმიანობის პირობებში დემოკრატია ძლიერდება და უფრო სტაბილური ხდება. 2017 წლის არჩევნები მნიშვნელოვან შესაძლებლობას აძლევს კანდიდატებს და პარტიებს, აქცენტი გააკეთონ მოსახლეობისთვის მნიშვნელოვან საკითხებზე. მოსახლეობა იმედგაცრუებულია, რომ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით მათი მოლოდინები ვერ გამართლდა.[4] მომავალ არჩევნებს ეროვნულ დონეზე პოლიტიკური მნიშვნელობაც აქვს. თბილისის მერის არჩევნები მხოლოდ ადგილობრივი ხელისუფლებისთვის არაა მნიშვნელოვანი. დედაქალაქის მერი ქართული პოლიტიკის მნიშვნელოვანი ფიგურაა და მმართველ ძალას, ოპოზიციას და დამოუკიდებელ კანდიდატებს შორის გამართული არჩევნების შედეგებმა შესაძლოა, ძალთა ბალანსზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონიოს. საქართველოს მასშტაბით, მომავალი არჩევნები იქნება ქვეყნის პოლიტიკური ძალების გამოცდა; ოპოზიციურ პარტიებს საშუალება ეძლევათ პოლიტიკური რელევანტურობა

[4] NDI-ის 2017 წლის აპრილის კვლევაში რესპოდენტების 38 პროცენტმა განაცხადა, რომ "არც ერთი პარტია" არ დგას მათ შეხედულებებთან ახლოს, რაც ცხრა პროცენტით აღემატება ნებისმიერი პარტიის მხარდაჭერის მაჩვენებელს. რესპონდენტების დაახლოებით ერთიდაიგივე პროცენტი მიიჩნევს, რომ ქვეყანა არასწორი ან სწორი მიმართულებით ვითარდება.

წარმოაჩინონ. არჩევნების შედეგები ასევე განსაზღვრავს, მოხდება თუ არა ქართული ოცნების მიერ პოლიტიკური ძალაუფლების კიდევ უფრო მეტად კონსოლიდაცია.

დელეგაციის მიგნებები

საკონსტიტუციო და საკანონმდებლო რეფორმები

2017 წლის ოქტომბრის ადგილობრივ არჩევნებამდე სულ რაღაც სამი თვით ადრე საქართველოს კონსტიტუცია, საარჩევნო და ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობა მნიშვნელოვანი ცვლილებების პროცესშია. ამ რეფორმებს, დამტკიცების შემთხვევაში, რამდენიმე მიმართულებით ექნება პირდაპირი და ირიბი გავლენა ადგილობრივ არჩევნებზე. არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ოპოზიციურმა პარტიებმა სამივე რეფორმის მიმდინარეობის პროცესი გააკრიტიკეს გამჭვირვალობისა და დაინტერესებულ მხარეთა სრული ჩართულობის ნაკლებობის გამო. კრიტიკის საგანს წარმოადგენდა ასევე ამ რეფორმების წამოწყება არჩევნების დღესთან ასე ახლოს.[5] ამ ყველაფერმა ერთობლივად არჩევნების პროცესისადმი ნდობის საკითხზე შეიძლება გავლენა მოახდინოს.

ასევე მნიშვნელოვანი შესაძლებლობა, რომელიც არ იქნა გამოყენებული საკონსტიტუციო და საკანონმდებლო რეფორმების პროცესში, არის ის, რომ შემოთავაზებული ცვლილებები გენდერული თანასწორობის უზრუნველსაყოფად ზომებს არ ითვალისწინებს. საპარლამენტო მანდატების მხოლოდ 15 პროცენტი აქვთ ქალებს და საკრებულოებში მათი წარმომადგენლობა მხოლოდ 12 პროცენტია. 71 არჩეული მერიდან და გამგებლიდან მხოლოდ ერთია ქალი. ჯგუფები, როგორიცაა ქალთა პოლიტიკური მონაწილეობის სამუშაო ჯგუფი, ინტენსიურ ადვოკატირების კამპანიას აწარმოებდნენ ისეთი საარჩევნო რეფორმების განსახორციელებლად, რომელიც პოლიტიკაში გენდერულ თანასწორობას უზრუნველყოფდა. საპარლამენტო და საკრებულოს პარტიულ სიებში გენდერული წარმომადგენლობის გასაზრდელად ნებაყოფლობითი ფინანსური წამახალისებელი ნორმა 2011 წელს დამკვიდრდა. თუმცა ეს ზომა არ აღმოჩნდა საკმარისი იმ მნიშვნელოვანი ბარიერების გადასალახავად, რასაც ქალები პოლიტიკაში აწყდებიან.

[5] "ევროპული კომისია სამართლის მეშვეობით დემოკრატიისთვის" (ვენეციის კომისიის) "საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის კოდექსში" ვკითხულობთ "საარჩევნო კანონმდებლობის ფუნდამენტურ ელემენტებში… არ უნდა შევიდეს ცვლილება არჩევნებამდე არაუგვიანეს ერთი წლისა."

საკონსტიტუციო რეფორმა

2016 წლის საპარლამენტო არჩევნების დასრულებისთანავე, საპარლამენტო უმრავლესობამ საკონსტიტუციო რეფორმის პროცესი დაიწყო.[6] მიუხადავად იმისა, რომ საკონსტიტუციო რეფორმა პირდაპირ გავლენას არ ახდენს 2017 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე, პროცესი იყო წინააღმდეგობრივი და თითქმის ყველა დაინტერესებული მხარის მოსაზრების თანახმად, მნიშვნელოვანი გავლენა მოახდინა წინასაარჩევნო პოლიტიკურ გარემოზე. თავდაპირველად პროცესი სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის ფარგლებში ინკლუზიურ დებატებს მოიცავდა. მიუხედავად ამისა, ყველა პოლიტიკური პარტია, ქართული ოცნების გარდა, და არასამთავრობო ორგანიზაციები გამოეთიშნენ აღნიშნულ პროცესს მაშინ, როდესაც, როგორც მათ აღნიშნეს, მათი მოსაზრებების უმრავლესობა არ იქნა გათვალისწინებული. ამასთანავე, პრეზიდენტმა თავიდანვე უარი განაცხადა კომისიაში მონაწილეობაზე. მაშინ, როდესაც უმრავლესობის ლიდერები ამტკიცებენ, რომ რეკომენდაციების 80 პროცენტი ცვლილებების პროექტში აისახა, ამ შეფასებას ჩართული მხარეების მხოლოდ მცირედი ნაწილი ეთანხმება და ხაზს უსვამს, რომ ყველაზე წინააღმდეგობრივი საკითხების ირგვლივ მათი რეკომენდაციები არ გაითვალისწინეს.[7]

საკონსტიტუციო რეფორმას კონსენსუსის მიღწევისთვის საჭირო შესაძლებლობა უნდა შეექმნა. ნაცვლად ამისა, არსებული მონახაზი პოლარიზების გამომწვევი დოკუმენტი გახდა, რომლის ერთ მხარესაც ქართული ოცნებაა, ხოლო მეორე მხარეს ყველა ოპოზიციური პარტია და საკონსტიტუციო რეფორმის პროცესში ჩართული არასამთავრობო ორგანიზაციები. კონსტიტუცია, რომელსაც აკლია ყველა ოპოზიციური ძალის, პრეზიდენტის, ბევრი წამყვანი არასამთავრობო ორგანიზაციისა

---

[6] ვენეციის კომისიის 19 ივნისს გამოცემული მოსაზრების მიხედვით განახლებული რეფორმის პაკეტი მოიცავს: პრეზიდენტის პირდაპირი არჩევის წესიდან არაპირდაპირზე გადასვლას 2024-ში; საპარლამენტო არჩევნების შერეული სისტემიდან მხოლოდ პროპორციულ სისტემაზე გადასვლას 2024-ში; მხოლოდ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის 5 პროცენტიანი ბარიერის 3 პროცენტამდე შემცირებას; გაუნაწილებელი მანდატის - გარკვეულ ლიმიტამდე - მინიჭებას იმ პარტიისთვის, რომელიც ყველაზე მეტ ხმას მიიღებს; უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების უვადოდ დანიშვნას; ქორწინების, როგორც მხოლოდ კაცისა და ქალის ერთობის განსაზღვრას. ეს ცვლილებები ორი მოსმენით დამტკიცდა ივნისის ბოლოს. ბოლო მოსმენა გაიმართება 2017 წლის შემოდგომაზე.

[7] საპარლამენტო უმრავლესობის მიერ ბოლო წუთებში მიღებულმა გადაწყვეტილებამ, რომლის მიხედვითაც სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლა მოხდება 2024 წელს, ნაცვლად 2020 წლისა, ოპოზიციური პარტიების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ვენეციის კომისიის განსაკუთრებული კრიტიკა დაიმსახურა. მათ ასევე გამოხატეს შეშფოთება იმის შესახებ, რომ დებულებები, რომელიც არეგულირებს გაუნაწილებელი მანდატების ყველაზე მეტი ხმის მიმღები პარტიისთვის მინიჭებას და პრეზიდენტის არაპირდაპირი გზით არჩევას, მმართველ პარტიას დამატებით უპირატესობებს მიანიჭებს.

და -- გარკვეული დებულებების შემთხვევაში -- საზოგადოების[8] მხარდაჭერა, ისეთი პოლიტიკური სისტემის შექმნის შესაძლებლობას შეამცირებს, რომელსაც საზოგადოების ნდობა აქვს.

ადგილობრივი ხელისუფლების რეფორმა

ამჟამად საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობა 12 თვითმმართველი ქალაქის და 59 თვითმმართველი თემისგან შედგება. თითოეული თვითმმართველი ერთეული ირჩევს საკრებულოსა და ადგილობრივ აღმასრულებელს. 2017 წლის ივნისში, ადგილობრივ არჩევნებამდე ოთხი თვით ადრე, ხელისუფლებამ ადგილობრივი თვითმმართველობის კანონმდებლობაში ცვლილებები წარადგინა. სხვა ცვლილებებთან ერთად, აღნიშნული ცვლილებები 12 თვითმმართველი ქალაქიდან შვიდის მეზობელ თემებთან შეერთებას გულისხმობს. ამ რეფორმებს ადგილობრივ არჩევნებზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს. ცვლილებების მიღების შემთხვევაში, ამომრჩევლები აირჩევენ 64 საკრებულოს (ნაცვლად 71-ისა), ასევე ხუთი თვითმმართველი ქალაქის მერს (ნაცვლად 12-ისა) და 59 თვითმმართველ თემს. საკრებულოები შედგება პროპორციული წესით არჩეული და ერთმანდატიანი ოლქებიდან მაჟორიტარული წესით არჩეული წევრებისგან. საკრებულოების მაჟორიტარულ ოლქებს შორის ხმის თანაბრობის პრინციპი დაცული არ არის. ზოგადად, ქალაქების მაჟორიტარულ ოლქების ხმებს მათ მეზობელ თემებთან შედარებით ნაკლები ძალა აქვს. პარლამენტმა ეს რეფორმები მიიღო, თუმცა 20 ივლისს პრეზიდენტმა საკანონმდებლო ცვლილებებს ვეტო დაადო. ვინაიდან მმართველ პარტიას პარლამენტში საკონსტიტუციო უმრავლესობა ჰყავს, პარლამენტს ვეტოს დაძლევა შეუძლია.

დამოუკიდებელი დამკვირვებლების, ასევე ოპოზიციური პარტიების თანახმად, რეფორმების შემუშავების პროცესი ნაჩქარევად წარიმართა, აკლდა გამჭვირვალობა და საკმარისად არ უზრუნველყოფდა მხარეთა ჩართულობას. დაახლოებით 150-მა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციამ ხელი მოაწერა წერილს, სადაც ხელისუფლებას თვითმმართველ ქალაქებზე გადაწყვეტილების შეცვლისკენ მოუწოდეს. მათ შეშფოთება გამოთქვეს, რომ შემოთავაზებული ცვლილებები შესაბამის ქალაქებში ადგილობრივ მოქალაქეებსა და არჩეულ თანამდებობის პირებს შორის დისტანციას გაზრდიდა. ამასთან, ცხრა არასამთავრობო ორგანიზაციამ

[8] მაგალითად, NDI-ის 2017 წლის აპრილის საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები აჩვენებს, რომ გამოკითხულთა 84 პროცენტის აზრით პრეზიდენტი პირდაპირი წესით უნდა იქნას არჩეული.

სასამართლოს პარლამენტის მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების მოთხოვნით მიმართა იმ მოტივით, რომ სავალდებულო საჯარო კონსულტაციები არ ჩატარდა. ეს არასამთავრობო ორგანიზაციები ისევე, როგორც თითქმის ყველა კვალიფიციური პარტია[9], პრეზიდენტს მოუწოდებდნენ, რეფორმისთვის ვეტო დაედო. განსაკუთრებით შემაშფოთებელია რეფორმების განხორციელების დრო - ადგილობრივ არჩევნებამდე მხოლოდ რამდენიმე თვით ადრე. რეფორმების სასწრაფოდ გატარების საჭიროება დელეგაციისთვის სათანადოდ განმარტებული არ იყო. ამ საკანონმდებლო ინიციატივის შემუშავებაში ჩართული არჩეული თანამდებობის პირებიც კი აღიარებდნენ, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმასთან მიმართებაში საჭიროა უფრო სტრატეგიული, კარგად შესწავლილი და სისტემური მიდგომა იმისთვის, რომ უზრუნველყოფილ იქნას ხმის თანაბრობის პრინციპი და თანხების სამართლიანი და ეფექტური გადანაწილება (ხელისუფლების წარმომადგენლებმა დელეგაციას განუცხადეს, რომ თვითმმართველობისთვის გამოყოფილი თანხების მნიშვნელოვანი გაზრდა იგეგმება).

დელეგაციასთან შეხვედრების დროს არასამთავრობო ორგანიზაციების, პარტიების და ადგილობრივი თვითმმართველობების წარმომადგენლებმა გამოხატეს შეშფოთება შვიდი თვითმმართველი ქალაქის მიმდებარე თემებთან შერწყმის შესაძლო გავლენაზე ამ ქალაქებზე. პირველ რიგში, ქალაქების კონტროლი საკუთარ ბიუჯეტზე და ადგილობრივ დონეზე მიღებულ გადაწყვეტილებებზე შემცირდება. მეორე რიგში, შვიდი ქალაქიდან ექვს ქალაქში მნიშვნელოვნად შემცირდება ხმის თანაბრობის პრინციპი - მაჟორიტარულ თემებთან შედარებით. მაგალითად, ქალაქ ზუგდიდს, სადაც დაახლოებით 50 000 რეგისტრირებული ამომრჩეველია, საკრებულოში ხუთი მაჟორიტარი ეყოლება, მაშინ, როდესაც ზუგდიდის მიმდებარე თემს - 70 000 რეგისტრირებული ამომრჩევლით - 30. ეს ზუგდიდის თემის მაჟორიტარულ ოლქებს ქალაქ ზუგდიდის მაჟორიტარულ ოლქებთან შედარებით ოთხჯერ მეტ ხმას მიაკუთვნებს[10]. ამ საკანონმდებლო პროცესში ჩართულმა პარლამენტის წევრებმა არ უარყვეს ხმათა უთანაბრობის საკითხი; არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ოპოზიციურმა პარტიებმა კი ხაზი გაუსვეს, რომ აღნიშნული ცვლილება ამ ქალაქებში მმართველი ძალის კლებადი მხარდაჭერით არის

[9] კვალიფიციურია პარტია, რომელიც სახელმწიფო დაფინანსებას იღებს, რაც განისაზღვრება არჩევნებზე მიღებული ხმების რაოდენობით, მინიმუმ 3% ადგილობრივ ან საპარლამენტო არჩევნებში.

[10]ვენეციის კომისიის "საარჩევნო საკითხებში კარგი პრაქტიკის კოდექსის" დებულებაში 2.2 ვკითხულობთ "ნორმიდან დასაშვები გადახვევა არ უნდა იყოს 10 პროცენტზე მეტი და არავითარ შემთხვევაში არ უნდა აღემატებოდეს 15 პროცენტს, გარდა განსაკუთრებული შემთხვევებისა (კომპაქტურად ჩასახლებული უმცირესობების დაცვა, მეჩხერად დასახლებული ადმინისტრაციული ოლქი)

გამოწვეული. მესამე საკითხი - პარტიებს, შესაბამის კანდიდატებსა და ამომრჩევლებს ამ ქალაქებსა და თემებში არ აქვთ ნათელი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რა ტიპის საარჩევნო სისტემით ჩატარდება ოქტომბრის არჩევნები.

საარჩევნო კოდექსის რეფორმა

პარლამენტმა ასევე მიიღო საქართველოს საარჩევნო კოდექსში შესატანი ორი ცვლილება, რომელსაც პრეზიდენტმა ვეტო დაადო. ცვლილებები არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე, სათანადო კონსულტაციების გამართვის გარეშე მიიღეს. მიუხედავად იმისა, რომ შემოთავაზებული ცვლილება, რომელიც საშუალებას აძლევს კანდიდატებს თბილისს გარეთ კენჭი იყარონ როგორც მერის, ასევე საკრებულოს არჩევნებში, პოზიტიურად შეფასდა, არასამთავრობო ორგანიზაციები და ოპოზიციური პარტიები რეფორმის რამდენიმე ასპექტს უკან გადადგმულ ნაბიჯად მიიჩნევენ. ერთ-ერთი ასეთი რეფორმა საარჩევნო კომისიების დაკომპლექტების წესს ეხება, რომელიც, როგორც სამოქალაქო სადამკვირვებლო ჯგუფებმა აღნიშნეს, მნიშვნელოვნად შეამცირებს იმ პარტიების რაოდენობას, რომლებსაც კომისიაში წევრი ეყოლება და კომისია მმართველი პარტიის სასარგებლოდ დაკომპლექტდება.[11] საარჩევნო კოდექსი ასევე ითვალისწინებს ცესკოს თავმჯდომარის არჩევის წესის ცვლილებას, რომელიც, როგორც არასამთავრობო ორგანიზაციები აღნიშნავენ, ამჟამინდელი წესისგან განსხვავებით - მმართველი პარტიის ინტერესების სასარგებლო იქნება.[12]

ძალაში შესვლის შემთხვევაში ზოგიერთი ცვლილება 2017 წლის არჩევნებისთვის ამოქმედდება. ზოგიერთმა ცვლილებამ, მაგალითად - არარეგისტრირებული ამომრჩევლისთვის რეგისტრაციის ვადის გაზრდამ, შესაძლოა არჩევნებში მონაწილეობის შესაძლებლობა მეტ ამომრჩეველს მისცეს. თუმცა დელეგაციასთან შეხვედრისას რამდენიმე მხარემ შეშფოთება გამოთქვა, რომ საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს შესაძლებლობა ექნება ნებისმიერი ადამიანი პროცესისთვის ხელის შეშლის საბაბით უბნიდან გააძევოს და დააჯარიმოს. მათ აღნიშნეს, რომ ამგვარი დისკრეცია შესაძლოა, ბოროტად იქნეს გამოყენებული.

საარჩევნო ადმინისტრაცია

---

[11] ცესკოს, საოლქო და საუბნო საარჩევნო კომისიების წევრების რაოდენობა 13-დან 12-მდე შემცირდება, რომელთაგან 6 პროფესიული ნიშნით შეირჩევა, ხოლო 6-ს პარტიები დანიშნავენ. ნაცვლად ამჟამად არსებული წესისა, რომლის მიხედვითაც ყველა კვალიფიციური პარტია ნიშნავს ერთ წევრს, რეფორმის შემდეგ პარტიული ადგილები საპარლამენტო არჩევნებზე მიღებული ხმების პროპორციულად გადანაწილდება. მხოლოდ ის პარტიები იქნებიან უფლებამოსილი დანიშნონ კომისიის წევრი, რომლებიც გადალახავენ ბარიერს და შექმნიან ფრაქციას.

[12] სამართლიანი არჩევნების, ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს ერთობლივი განცხადება, 26 ივნისი, 2017

ვინაიდან არჩევნების თარიღი ოფიციალურად არ გამოცხადებულა, ცენტრალურ საარჩევნო კომისიას (ცესკო) ამ დროისათვის შესაბამისი საქმიანობის განხორციელება და ოფიციალური საარჩევნო სამზადისი არ დაუწყია. მიუხედავად ამისა, ცესკომ აღნიშნა, რომ იღებს შესაბამის რესურსებს, აქტიურად ახდენს რეკომენდაციების გადახედვას და - საკუთარი მანდატის ფარგლებში - მათი შესრულების გზებს შეიმუშავებს. ცესკოს მიმდინარე საგანმანათლებლო პროგრამებთან ერთად დაგეგმილია ტრენინგები პოლიციის, პოლიტიკური პარტიების და, განსაკუთრებით, საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლებისთვის. ასევე გაგრძელდება ინკლუზიურობის, გამჭვირვალობისა და ეფექტიანობის გაზრდის მიზნით განხორციელებული ღონისძიებები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა მონაწილეობის კიდევ უფრო მეტ ხელშეწყობას. ცესკომ ასევე აღნიშნა საარჩევნო მონაცემების პოტენციური კიბერ თავდასხმებისგან დაცვის მნიშვნელობა.

მხარეების უმრავლესობა, რომელსაც დელეგაცია შეხვდა, საარჩევნო ადმინისტრაციას პროფესიონალს, მიუკერძოებელს და კომპეტენტურს უწოდებს, თუმცა აღნიშნავს, რომ რამდენიმე საკითხი გასაუმჯობესებელია. გარდა დაანონსებული საკანონმდებლო ცვლილებებისა, მნიშვნელოვან საკითხს საოლქო საარჩევნო კომისიის მიერ საუბნო საარჩევნო კომისიებში პროფესიული ნიშნის მქონე წევრების შერჩევის ფორმალური კრიტერიუმების არარსებობა წარმოადგენს. ეს წევრები, არაპარტიულები უნდა იყვნენ. ოპოზიციური პარტიების წარმომადგენლებმა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებმა აღნიშნეს, რომ გასულ არჩევნებში ზოგიერთ ოლქში საუბნო საარჩევნო კომისიის წევრთა შერჩევა ყველა ნომინირებული კანდიდატისთვის ღია არ იყო და საუბნო საარჩევნო კომისიების პროფესიული ნიშნით არჩეულ ზოგიერთ წევრს ახლო წარსულში პარტიული როლი ჰქონდა. ეს ქმნიდა აღქმას, რომ საუბნო საარჩევნო კომისიები მმართველი პარტიის მიერ იყო დაკომპლექტებული. შემაჯამებელი ოქმების ზუსტი დათვლა და შევსება კიდევ ერთი პრობლემატური საკითხია. დელეგაციასთან შეხვედრებში მონაწილეთა უმრავლესობამ საუბნო საარჩევნო კომისიების ტრენინგების გაგრძელების და ოქმებთან დაკავშირებული პროცესის მჭიდრო მონიტორინგის საჭიროება აღნიშნა.

პოლიტიკური პარტიები და კანდიდატები

2016 წლის საპარლამენტო არჩევნებში ქართული ოცნების გადამწყვეტი გამარჯვების შემდეგ, ადგილობრივი არჩევნები პოლიტიკური პარტიებისთვის საზოგადოების მხარდაჭერის მოსაპოვებლად განახლებულ შესაძლებლობებს ქმნის. პარტიებმა იციან, რა საკითხებია მოსახლეობისთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და აცხადებენ, რომ მათი კამპანიები ისეთ საკითხებზე იქნება ორიენტირებული, როგორიცაა: სამუშაო ადგილები, პენსიები და სხვა ეკონომიკური საკითხები. პარტიები

აღიარებენ, რომ - სავარაუდოდ - ყველას კამპანია მსგავს საკითხებზე იქნება აგებული. კანდიდატებმა განმარტეს, რომ ისინი საკუთარი გამოცდილების, საკითხის ცოდნის და დაპირებების შესრულების მაჩვენებლით წარმოაჩენენ საკუთარ თავს.

ქართული ოცნება დარწმუნებულია საკუთარ პოპულარობაში და მოელის, რომ ქვეყნის მასშტაბით გაიმარჯვებს, თუმცა მათი მთავარი პრიორიტეტი თბილისის მერის არჩევნების პირველ ტურში გამარჯვებაა. ამასთან, ოპოზიციური პარტიები გადაჯგუფების და ახალი კანდიდატებისა და სახეების მოძიების პროცესში არიან, რათა ამომრჩეველს ქართული ოცნების დომინანტი პოზიციის პირობებში ძლიერი ალტერნატივა შესთავაზონ. ყოფილი მმართველი კოალიციის წევრებს - თავისუფალ დემოკრატებს და რესპუბლიკელებს - სურთ, საკუთარი სიცოცხლისუნარიანობა წარმოაჩინონ - მას შემდეგ, რაც საპარლამენტო არჩევნებისთვის ბარიერის გადასალახად საკმარისი ხმების მოგროვება ვერ შეძლეს. ყველაზე დიდი ოპოზიციური პარტია - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - ორ პარტიად გაიყო - ერთიანი ნაციონალური მოძრაობა და ევროპული საქართველო, რომლებსაც ერთდროულად მოუწევთ ბრძოლა ოპოზიციური ხმების მიღებისა და მმართველი პარტიის წინააღმდეგ. ამასთან, საქართველოს პატრიოტთა ალიანსი, რომელიც საარჩევნო ბარიერს მცირედი მაჩვენებლით აცდა და საპარლამენტო მანდატები მოიპოვა, შეეცდება საკუთარი მნიშვნელობა ადგილობრივ დონეზე დაამტკიცოს. ადგილობრივი არჩევნების შედეგები გადაწყვეტს, გახდება თუ არა მმართველი პარტია მეტად დომინანტური.

პროცესის ამ ეტაპზე პარტიები კვლავ განსაზღვრავენ კანდიდატების სიას და აყალიბებენ საარჩევნო პროგრამებს. ერთადერთი შესამჩნევი წინასაარჩევნო აქტივობები თბილისში მიმდინარეობს - რაც ადგილობრივი არჩევნების ფარგლებში ქვეყნის მასშტაბით ყველაზე კონკურენტულ არჩევნებად მოიაზრება. სავარაუდოდ, რამდენიმე საკრებულოს არჩევნებიც კონკურენტულ გარემოში წარიმართება, თუმცა ამ ეტაპზე ნაკლები ინფორმაცია მოიპოვება პარტიების მიერ ნომინირებულ კანდიდატებზე და სტრატეგიებზე თბილისს გარეთ. პარტიების უმრავლესობა არჩევნებში მონაწილეობის მიღებას მთელი საქართველოს მასშტაბით აპირებს, თუმცა ზოგიერთმა პატარა პარტიამ განაცხადა, რომ მათი გადაწყვეტილება, სად წარადგენენ კანდიდატებს შეზღუდულ ფინანსურ და ადამიანურ რესურსებზეა დამოკიდებული.

2014 წლის ადგილობრივ არჩევნებზე ქალები პარტიების მიერ მერის და გამგებლის პოზიციებზე ნომინირებული კანდიდატების მხოლოდ 5 პროცენტს წარმოადგენდნენ; პროპორციული სიით საკრებულოს კანდიდატების 33 პროცენტს და მაჟორიტარული სისტემით საკრებულოს კანდიდატების 15 პროცენტს.[13] პარტიების

[13] ცესკოს გენდერული სტატისტიკის მონაცემებზე დაყრდნობით.

უმრავლესობისთვის აღნიშნული სტატისტიკის გაუმჯობესება 2017 წლის არჩევნებზე მთავარ საზრუნავს არ წარმოადგენს. პარტიები საუბრობენ ბევრ კვალიფიციურ ქალზე, რომლებიც პარტიებში მოხალისეები არიან - როგორც ადგილობრივ, ასევე ეროვნულ დონეზე. ამასთან, პარტიის ლიდერები არ აღიარებენ შიდა ბარიერების არსებობას ან მათ პასუხისმგებლობას ქალების მონაწილეობის ხელშეწყობისთვის. ისინი ქალთა გაზრდილი მონაწილეობისთვის ხელისშემშლელად გარე, მათგან დამოუკიდებელ ფაქტორებს ასახელებენ. მაშინ, როცა სავალდებულო კვოტების შემოღება პარტიებს შორის პოპულარობით არ სარგებლობს, მათი უმეტესობა ადასტურებს მზაობას შიდაპარტიული კვოტის დაწესებისა და პროპორციულ სიებში ქალების მინიმუმ 30 პროცენტის დასახელების მიმართ.

კამპანიის დაფინანსება

ბოლო ათწლეულის მანძილზე ქართულ პოლიტიკაში მნიშვნელოვან საკითხად ფულის როლი რჩება. 2016 წელს ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისმა (OSCE/ODIHR) და საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველომ აღნიშნეს, რომ პარტიებისა და დამოუკიდებელი კანდიდატების მიერ მოძიებულ თანხებში არსებითი დისბალანსი არსებობდა.[14] ქართულმა ოცნებამ შემოწირულობების მთლიანი ოდენობის 66 პროცენტი მიიღო და ყველა სხვა პარტიასა და კანდიდატზე მეტი დახარჯა.[15] ამგვარმა დისბალანსმა შესაძლებელია ამ და სხვა არჩევნებში კონკურენტუნარიანობა შეასუსტოს. ქართული ოცნების გარდა, ყველა პარტიამ, ვისაც დელეგაცია შეხვდა, განსაკუთრებით აღნიშნა, რომ თანხების მოძიება გაცილებით რთული გახდა. პარტიებმა განაცხადეს, რომ ის ბიზნესები და კერძო პირებიც კი, ვისაც მათი მხარდაჭერა სურს (ან წარსულში გამოუხატავთ მხარდაჭერა) შემოწირულობის გაკეთებისგან თავს იკავებენ - სავარაუდო საფრთხეების თავიდან აცილების მიზნით. ვინაიდან მსგავსი შემთხვევების გადამოწმება რთულია, დამკვირვებლებმა და პარტიების წარმომადგენლებმა სავარაუდო ზეწოლის ფაქტებს ყურადღებით უნდა ადევნონ თვალი და დოკუმენტირება უნდა გაუკეთონ.

არასამთავრობო ორგანიზაციებმა და ოპოზიციურმა პარტიებმა დაფინანსების წყაროების და ოდენობების გამჭვირვალობის გაზრდის საჭიროებაზე, ასევე კამპანიის დაფინანსებასთან დაკავშირებულ დარღვევებზე გადაწყვეტილების დროულად გამოტანის აუცილებლობაზე მიუთითეს. სახელმწიფო აუდიტის სამსახური ზედამხედველობას უწევს კამპანიის დაფინანსებას. სამსახურს კამპანიის დაფინანსების წესების დარღვევებისთვის სანქციების დაწესება შეუძლია. მას ასევე

[14] საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, [საარჩევნო კამპანიის დაფინანსება საქართველოში: 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები.]

[15] სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მონაცემებზე დაყრდნობით.

შეუძლია თანხისა და ქონების წარმომავლობაზე ინფორმაციის შეგროვება, თუმცა მხოლოდ სასამართლოს ნებართვის შემდეგ, რის მიღებასაც დაახლოებით ერთი თვე სჭირდება. ადგილობრივი არჩევნებისთვის სახელმწიფო აუდიტის სამსახური ტრენინგების ჩატარებას, კამპანიის დაფინანსების რეგულაციებზე ვიდეო ინსტრუქციების შექმნას და ვალდებულებებთან დაკავშირებით კანდიდატების ცნობიერების ამაღლების მიზნით საკონსულტაციო ცენტრის შექმნას გეგმავს; ასევე იგეგმება სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებთან და მედიასთან თანამშრომლობა რეგულაციების შესრულების მონიტორინგის მიზნით. მიუხედავად იმისა, რომ სამოქალაქო სადამკვირვებლო ჯგუფები სახელმწიფო აუდიტის სამსახურს კარგად მართულ სახელმწიფო ინსტიტუტად ასახელებენ, ჩართულ მხარეებს მიაჩნიათ, რომ კვლავ პრობლემად რჩება აუდიტის სამსახურის შესაძლებლობა და რესურსები, საზედამხედველო ფუნქციები ეფექტურად, გამჭვირვალედ და დროულად შეასრულოს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა შემოსავლებისა და ხარჯების გამოძიების და ზედამხედველობისათვის ადამიანური რესურსების სიმწირე აღნიშნა, განსაკუთრებით დიდი რაოდენობით დამოუკიდებელი კანდიდატების არჩევნებში მონაწილეობის შემთხვევაში. სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ასევე აღნიშნა მესამე პირების და უცხოური წყაროებიდან მიღებული შემოწირულობების აღმოჩენასთან დაკავშირებული სირთულეები.

ადმინისტრაციული რესურსების გამოყენება

საქართველოში ადმინისტრაციული რესურსების არასათანადო გამოყენება დიდი ხნის პრობლემას წარმოადგენს და ყველა მთავრობის პირობებში უპირატესობის მოსაპოვებლად გამოიყენებოდა. სადამკვირვებლო ჯგუფები, მათ შორის საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოება, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია, NDI, საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტი და ეუთო/დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისი ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების თავიდან აცილებისა და შემცირების მიზნით მრავალი არჩევნების განმავლობაში პრობლემის დოკუმენტირებას და რეკომენდაციების შემუშავებას ახდენდა.

წლების განმავლობაში საკანონმდებლო ჩარჩოს კუთხით გარკვეული პროგრესი იქნა მიღწეული. თუმცა პარტიებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა დელეგაციასთან შეხვედრისას აღნიშნეს, რომ არჩევნების თარიღის ოფიციალურად გამოცხადების დაყოვნება ადმინისტრაციული რესურსების სამართლებრივი რეგულაციების ამოქმედებას აჭიანურებს, რაც - პოტენციურად - მმართველ ძალას უპირატეს მდგომარეობაში აყენებს. მათ ასევე გამოხატეს შეშფოთება ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების ოთხ მთავარ ფორმაზე, რასაც, მათი აზრით, შესაძლოა

ადგილი ჰქონდეს 2017 წლის ადგილობრივ არჩევნებზე: (1) ადამიანური რესურსები, როგორიცაა საჯარო მოხელეების მობილიზების დამკვიდრებული პრაქტიკა და მათი დასწრება პარტიის კამპანიის ღონისძიებებზე და მათზე ზეწოლა, ხმა მისცენ სამთავრობო პარტიას; (2) ფიზიკური რესურსები, როგორიცაა სახელმწიფო შენობების, სატრანსპორტო საშუალებების და აღჭურვილობის გამოყენება კამპანიის მიზნებისთვის; (3) ფინანსური რესურსები, როგორიცაა ადგილობრივ ინფრასტრუქტურასა და სოციალურ პროგრამებზე ხარჯების გაზრდა არჩევნების წინა პერიოდში; და (4) სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ დაშინება და შევიწროება. მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი შემთხვევების დოკუმენტირება და დადასტურება რთულია, დელეგაციასთან შეხვედრებზე თითქმის ყველამ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ დაშინება გასული არჩევნების მთავარ და 2017 წლის არჩევნების სავარაუდო პრობლემად დაასახელა. სავარაუდო პრობლემებად წარსულში კანდიდატების შერჩევის და ნომინირების და ფინანსების მოძიების პროცესში, კამპანიის აქტივობებში და ამომრჩეველთა მხრიდან არჩევანის გაკეთებაში სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის ჩარევა სახელდება.

დელეგაციის ვიზიტის პერიოდში თავისუფალი და სამართლიანი არჩევნების უწყებათაშორისმა კომისიამ, რომელიც დროებითი ორგანოა და საჯარო მოხელეების მიერ საარჩევნო დარღვევებზე რეაგირებისთვის ყოველი საარჩევნო წლის 1 ივლისს იქმნება, პირველი სხდომა გამართა. უწყებათაშორისი კომისია იუსტიციის სამინისტროსთან იქმნება, კოორდინაციას უწევს საარჩევნო საკითხებზე მრავალმხრივ დიალოგს და უფლებამოსილია კონკრეტული ღონისძიებების გატარების მიზნით სახელმწიფო ორგანოებს, სამართალდამცავ ორგანოებს, საჯარო მოხელეებს და პოლიტიკურ პარტიებს რეკომენდაციით მიმართოს. კომისია წარსულში ადმინისტრაციული რესურსის გამოყენებასთან დაკავშირებით გაცემული ინსტრუქციების გაუმჯობესებას და რეგულაციებსა და დარღვევების შემთხვევაში არსებულ სანქციებზე საჯარო მოხელეთა ინფორმირებას გეგმავს. დელეგაციასთან შეხვედრებზე ზოგიერთი პარტიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენელმა ხაზი გაუსვა, რომ უწყებათაშორისი კომისია საჩივრების გაჟღერების და საკითხების დაყენების მნიშვნელოვან პლატფორმას წარმოადგენს. მათ ასევე გამოთქვეს იმედი, რომ დარღვევების აღკვეთის და დამრღვევების მიმართ შესაბამისი სანქციების დაწესებისთვის საკმარისი პოლიტიკური ნება იქნება.

მედია

ყოფილი საბჭოთა კავშირის ქვეყნებს შორის, მედია გარემო საქართველოში ყველაზე თავისუფალი და მრავალფეროვანია. ინდივიდუალური ჟურნალისტების მიმართ რეპრესიები ნაკლებად ხდება. ამჟამინდელი კონსტიტუციით გამოხატვის თავისუფლება დაცულია და ქვეყანაში არსებობს მრავალი ეროვნული და რეგიონული მედია საშუალება. თუმცა მედიის პოლიტიზირება გავლენას ახდენს

ინფორმაციის გადმოცემაზე და ხელისუფლების სავარაუდო ზეგავლენა მედია საშუალების მენეჯმენტზე და სარედაქციო პოლიტიკაზე შეშფოთების საგანს წარმოადგენს - ორივე შემთხვევაში შესაძლებელია, მოქალაქეების მხრიდან ინფორმირებული პოლიტიკური არჩევანის გაკეთებას საფრთხე შეექმნას. დელეგაციასთან მრავალჯერ იქნა აღნიშნული საზოგადოებრივი მაუწყებლის მენეჯმენტის ცვლილება, რომელიც მიკერძოებულად აღიქმება. მაესტრო და სხვა პატარა ტელევიზიები ტელეკომპანია იმედის ფარგლებში გაერთიანდა, რომელიც ხელისუფლების მიმართ კეთილგანწყობილი სარედაქციო პოლიტიკის გამტარებელ ტელევიზიად აღიქმება.[16] ყველაზე პოპულარულ ტელევიზიას საქართველოში რუსთავი 2-ს, რომელიც ოპოზიციურ, განსაკუთრებით ნაციონალური მოძრაობის ინტერესების გამტარებელ არხად აღიქმება, მძიმე ფინანსური და მენეჯმენტთან დაკავშირებული პრობლემები აქვს, რაც გამოწვეულია სადავო სასამართლო გადაწყვეტილებით თანხების მოძიების შეჩერების და მფლობელის ცვლილებასთან დაკავშირებით. მხოლოდ ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს ინტერვენციის საფუძველზე, ამ ეტაპზე, მოხერხდა ამჟამინდელი მენეჯმენტის დროებითი შენარჩუნება.

პლურალისტური პოლიტიკური დისკუსიისთვის არსებული სივრცე ვიწროვდება, რაც გარკვეულწილად მედია საშუალებების მენეჯმენტში ზემოთ აღნიშნული ცვლილებების გამო ხდება. საარჩევნო პერიოდის დაწყებამდე რამდენიმე თვით ადრე მაესტრომ და საზოგადოებრივმა მაუწყებელმა მნიშვნელოვანი პოლიტიკური პროგრამები და დებატები ბადიდან ამოიღეს; ეს გადაცემები პატარა, არასაპარლამენტო პარტიებს მათთვის საჭირო სატელევიზიო დროს აძლევდა, რაც განსაკუთრებით საჭიროა ამ პერიოდში. რაც შეეხება არსებულ პოლიტიკურ გადაცემებს, მაუწყებლები აღნიშნავენ, რომ სირთულეები ექმნებათ პირდაპირ ეთერში გამართულ დისკუსიებში მმართველი პარტიის მონაწილეობასთან დაკავშირებით. რამდენიმე პარტია, განსაკუთრებით შედარებით პატარა პარტიები, ისევე, როგორც დამოუკიდებელი კანდიდატები აცხადებენ, რომ არსებული შევიწროებული სივრცე, ასევე მაუწყებლების მიკერძოებული სარედაქციო პოლიტიკა მათთვის სირთულეს ქმნის, მიიღონ თანასწორი დაფარვა. ზოგიერთი აცხადებს, რომ საერთოდ ვერ იღებს სატელევიზიო ეთერს.

მიუხედავად ამ გამოწვევებისა, არჩევნების მოახლოებასთან ერთად მედია საშუალებების უმეტესობა პირობას დებს, ეთერში გაუშვან გადაცემები და დებატები, რაც საშუალებას მისცემს კვალიფიციურ (და ზოგიერთ შემთხვევაში არაკვალიფიციურ) საარჩევნო სუბიექტებს საკუთარი პროგრამა წარმოადგინონ და

[16] NDI-ის საზოგადოებრივი აზრის კვლევის (2014) თანახმად მოსახლეობა იმედს აღიქვამს როგორც "ქართული ოცნების ინტერესების გამტარებელს", მაშინ როდესაც რუსთავი 2 ნაციონალური მოძრაობისკენ იხრება.

ძირითად საკითხებზე დებატები გამართონ. ეროვნული მაუწყებლები აღიარებენ, რომ ადგილობრივი კამპანიების ყოვლისმომცველი გაშუქება გამოწვევას წარმოადგენს. ქვეყნის მასშტაბით ორი ათასზე მეტი საარჩევნო მარათონი ართულებს თანმიმდევრული, სიღრმისეული ანალიზის გაკეთებას ადგილობრივ დონეზე და საკითხებზე. მცირებიუჯეტიანი რეგიონული მედია საშუალებების როლი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ხდება იმისთვის, რომ მოსახლეობამ არსებულ არჩევანზე სანდო ინფორმაცია მიიღოს. ონლაინ ქსელების მოხმარება იზრდება და მოსახლეობამდე ინფორმაციის მიტანის დაბალბიუჯეტიანი პლატფორმის არსებობის პოტენციალს ქმნის, თუმცა მათი აუდიტორია მაინც შეზღუდულია.

სიძულვილის ენა და დეზინფორმაცია

ადგილობრივი არჩევნების მოახლოებასთან ერთად ქსენოფობიური, ეთნო-ნაციონალისტური, ჰომოფობიური და ულტრა-კონსერვატიული რიტორიკა შეინიშნება, რაც მტრულ საარჩევნო გარემოს აღვივებს. 14 ივლისს, დელეგაციის ჩამოსვლამდე ცოტა ხნით ადრე, 2000-ზე მეტმა ადამიანმა, თბილისის ცენტრში, იმიგრაციის წინააღმდეგ გამოსვლა - "ქართველთა მარში" - გამართა. ქართული ოცნების ყოფილმა სახელმწიფო მინისტრის მოადგილემ, ასევე ამჟამინდელმა პარლამენტის წევრმა პატრიოტთა ალიანსიდან მონაწილეობა მიიღეს გამოსვლაში, როგორც ეს მრავალმა მედია საშუალებამ გადმოსცა.[17] ანტი-ლგბტ კამპანიასთან ერთად, მარშის ორგანიზატორები მოითხოვდნენ არალეგალი იმიგრანტების დეპორტაციას, საიმიგრაციო კანონმდებლობის გამკაცრებას, ბინადრობის ნებართვებზე უცხოელებისთვის შეზღუდვების დაწესებას და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისთვის უცხოური დაფინანსების აკრძალვას. ეს საკითხები აძლიერებს არსებულ ცრურწმენებსა და პოპულისტურ განწყობებს, რომელიც ასევე აისახება მმართველი პარტიის საკონსტიტუციო ცვლილებების პროექტში, მათ შორის ქორწინების განსაზღვრა, როგორ კავშირი მამაკაცსა და ქალს შორის, და უცხოელებზე მიწის მიყიდვის აკრძალვა.

ის არასამთავრობო ორგანიზაციები და ოპოზიციური პარტიები, რომლებსაც დელეგაცია შეხვდა, მარშს დეზინფორმაციის და რუსეთის ჩარევის მზარდ ტენდენციას უკავშირებენ. იმიგრანტების მიერ ჩადენილი დაუდასტურებელი გაუპატიურების შემთხვევები და სხვა ძალადობის აქტები სოციალური მედიით გაზიარდა, რაც შემდეგ ტრადიციულ ქართულენოვან მედიაშიც გავრცელდა. მოძრაობა ნაციონალისტების ლიდერის და ქართველთა მარშის ერთ-ერთი ორგანიზატორის, სანდრო ბრეგაძის, განცხადებით, "უნდა მოხდეს უცხოელი

[17] ნეტგაზეთი, ""ქართველთა მარშს" პარლამენტარი ემზარ კვიციანი შეუერთდა", 14 ივლისი, 2017 და რუსთავი 2, "ე.წ. "ქართველთა მარში" და უცხოელი ბიზნესმენების განწყობა მსვლელობის მიმართ", 16 ივლისი, 2017.

კრიმინალებისგან გაწმენდა, რომლებიც არიან მანიაკები, რომლებიც აუპატიურებენ ბავშვებს, ჩადიან სხვადასხვა კრიმინალურ საქმიანობას, ეწევიან პროსტიტუციას, ავრცელებენ ნარკოტიკებს.."[18] გავრცელებული დეზინფორმაცია დასავლეთს წარმოაჩენს, როგორც საფრთხეს ქართული იდენტობისთვის; ევროკავშირს, როგორც მიგრანტების და ტერორიზმის წყაროს და დემოგრაფიულ საფრთხეს; ხოლო რუსეთს, როგორც ერთმორწმუნე ქვეყანას, რომელიც დასავლეთის საპირწონეა.[19] ის არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებსაც დელეგაცია შეხვდა, აღნიშნული გზავნილების წარმომავლობას რუსეთს მიაწერენ და აცხადებენ, რომ გზავნილები მიზნად ისახავს ფაქტებისა და ჭეშმარიტების მიმართ ნდობის შესუსტებას და დემოკრატიული ღირებულებებისა და ნორმების რყევას, დისკრედიტაციას და საბოლოოდ მათ მიმართ ნდობის გაქრობას. ახალგაზრდა ქალი, რომელმაც Facebook-ზე საჯაროდ გააკრიტიკა მარში, შევიწროების და სექსუალური ძალადობის მუქარის მსხვერპლი გახდა, რაც გარემოს არასტაბილურობაზე მეტყველებს.

მაშინ, როდესაც არასამთავრობო ორგანიზაციები ძლიერ შეშფოთებას გამოთქვამდნენ დეზინფორმაციის გავლენასთან და უცხო ქვეყნის ჩარევასთან დაკავშირებით, და სწამთ, რომ არჩევნების მოახლოებასთან ერთად ინციდენტები კიდევ უფრო გამწვავდება, პარტიების დამოკიდებულებები განსხვავებულია. ოპოზიციური პარტიების უმრავლესობამ, რომლებსაც დელეგაცია შეხვდა, შეშფოთება გამოთქვეს, მზარდი ეთნო-ნაციონალიზმის და რუსეთის გავლენის მიმართ. ხელისუფლების და პარტია ქართული ოცნების წარმომადგენლებმა უმეტესწილად უარყვეს გავრცელებული ვარაუდი, რომ დეზინფორმაცია და ანტი-დასავლური პროპაგანდა საქართველოსთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ისინი აღნიშნავენ, რომ მოქალაქეები ამგვარი რიტორიკის მიმართ მგრძნობიარე არ არიან.

კანონის არათანაბარი გამოყენება

პოლიტიკური პარტიებისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მხრიდან არაერთხელ გამოითქვა შეშფოთება კანონის უზენაესობის დაცვასთან დაკავშირებით, განსაკუთრებით როდესაც ეს ეხება ძალადობასა და სამართლებრივ ბრალდებებს როგორც 2016 წლის საარჩევნო პერიოდში, ისე ბოლო თვეების განმავლობაში. ისინი გაჭიანურებულ გამოძიებაზე, შერჩევით სამართალზე, მოსამართლეებზე ზეწოლასა და სანქციების უთანასწორო და არაპროპორციული გამოყენების ტენდენციებზე მიუთითებდნენ. მაგალითად, "რუსთავი 2"-ის მფლობელობის ირგვლივ დავის სასამართლო გადაწყვეტილებებში სავარაუდო პოლიტიკური ჩარევა და

[18] EPN, „ჩვენი ქუჩები უცხო ქვეყნის კრიმინალებისგან გაიწმინდება" - 14 ივლისს „ქართველთა მარში" გაიმართება, 30 ივნისი, 2017

[19] მედიის განვითარების ფონდი (MDF) ანტი-დასავლური პროპაგანდა, 2016

მართლმსაჯულებისთვის ხელის შეშლა ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების შეჩერების საფუძველი გახდა.

დელეგაციასთან შეხვედრების დროს ოპოზიციურმა პარტიებმა და არასამთავრობო ორგანიზაციებმა არაერთხელ გამოთქვეს შეშფოთება 2016 წლის არჩევნებამდე მაღალი საზოგადოებრივი ინტერესის მქონე საქმეების გაჭიანურებასა და დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემის მიზნით პოლიტიკური ნების არარსებობასთან დაკავშირებით. მაგალითებად დასახელდა: 14 თვის წინ კორცხელში ოპოზიციური პარტიის ლიდერების მიმართ ჩადენილი ძალადობა და 2016 წლის არჩევნებამდე რამდენიმე დღით ადრე ოპოზიციონერი დეპუტატის გივი თარგამაძის მანქანის აფეთქება. მათ ასევე აღნიშნეს გენერალური აუდიტორის ბრალდება, რომ მას ყოფილმა მთავარმა პროკურორმა ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. გენერალური აუდიტორის თანახმად, ეს ყოფილი მთავარი პროკურორის შესაძლო კორუფციული ფაქტების აუდიტის სამსახურის მიერ გამოძიებაზე შურისძიება იყო. ბევრი სხვა საქმის მსგავსად, ინციდენტზე გამოძიება დაიწყო, თუმცა ამ დრომდე ბრალი არავის წაყენებია და არც სამართალი არ აღსრულებულა. არც ქალი კანდიდატების დაშინებისა და რეპუტაციის შელახვისთვის დასჯილა ვინმე. მხოლოდ გამოძიების დაწყება ან სასამართლო პროცესის ინიცირება დროული დასრულების გარეშე მოსახლეობის ნდობის მოპოვებისა ან შემდგომი დარღვევების შეჩერებისთვის საკმარისი არ არის. სანამ დამნაშავეები დროულად არ დაისჯებიან, უდანაშაულობის კულტურა არ შეიცვლება და სამართლიანი პროცესის მიმართ ნდობა არ იარსებებს.

რეკომენდაციები

დელეგაცია აღნიშნავს, რომ ვიზიტი საარჩევნო პერიოდის ოფიციალურად დაწყებამდე შედგა. ამის გათვალისწინებით, დელეგაცია წარმოადგენს შემდეგ რეკომენდაციებს იმ ნაბიჯების შესახებ, რომელიც ამ დროიდან არჩევნებამდე შეიძლება გადაიდგას იმისთვის, რომ 2017 წლის ოქტომბრის არჩევნებისადმი და, ზოგადად, საარჩევნო პროცესების მიმართ ნდობა გამყარდეს. NDI-ის საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია ამ რეკომენდაციების შესრულებას დააკვირდება და პროცესის მნიშვნელოვან ეტაპებზე დამატებით განცხადებებს გამოაქვეყნებს. დელეგაცია აღნიშნავს, რომ წინა არჩევნებისთვის გაცემული რეკომენდაციების დიდი ნაწილი ბოლომდე გათვალისწინებული არ იქნა და იმედოვნებს, რომ მათი გათვალისწინება 2017 წლის ოქტომბრის არჩევნებისთვის მოხდება.

პოლიტიკური პარტიები:

- შეთანხმდნენ წინასაარჩევნო კამპანიის დროს საერთო ქცევის წესებზე, რომელიც ხაზს გაუსვამს მშვიდობიანი, არაძალადობრივი კამპანიის ჩატარების მზაობას. პარტიის ლიდერებმა პარტიის შიგნით ცნობიერების ამაღლებისა და ანგარიშვალდებულების მექანიზმები უნდა შეიმუშაონ, გააგრძელონ აქტივისტებისა და კანდიდატების ინფორმირება იმის შესახებ, რომ დაიცვან ქცევის წესები და დააკისრონ სანქციები იმ წევრებს, რომლებიც ამ წესებს დაარღვევენ;
- აღიარონ და გამოავლინონ ის შიდა ბარიერები და ფაქტორები, რომელიც პარტიებში ქალების მონაწილეობას უშლის ხელს. პარტიები უნდა შეეცადონ, შეცვალონ ქცევის წესები და პრაქტიკა, მათ შორის - სამუშაო საათები და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ქალთა ჩართულობა, იმისთვის, რომ მეტი ქალი კანდიდატი მოიზიდონ. პარტიებმა ასევე უნდა შეასრულონ სიტყვიერი დაპირებები, რაც 2017 წლის ოქტომბრის საკრებულოს არჩევნებში პარტიულ სიებში ქალთა სულ მცირე 30% წარმომადგენლობას უზრუნველყოფენ;
- წარმოადგინონ კონკრეტული პოლიტიკის დოკუმენტები, რომელიც ითვალისწინებს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების მანდატს და განმარტონ მათი გეგმები იმის შესახებ, თუ როგორ შეასრულებენ მოქალაქეებისთვის მიცემულ დაპირებებს. ამისთვის აუცილებელია მედიის საშუალებით გამართულ დებატებსა და პოლიტიკურ გადაცემებში მონაწილეობა და ეს განსაკუთრებით მმართველ პარტიას ეხება, რომელმაც 2016 წელს დებატებში მონაწილეობაზე უარი თქვა.

პარლამენტი:

- გადახედოს ადგილობრივი თვითმმართველობის რეფორმის პაკეტს. გამოიყენოს უფრო სისტემური და გრძელვადიანი მიდგომა და ადგილობრივ

თვითმმართველობის ასოციაციებთან, არასამთავრობო ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ პირებთან კონსულტაციით დეცენტრალიზაციის სტრატეგია წარმოადგინოს. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში მაჟორიტარული მანდატების განაწილება ხმის თანაბრობის პრინციპის დაცვით უნდა განხორციელდეს;

- თუ არჩევნებამდე ერთი წელზე ნაკლებია დარჩენილი, თავი შეიკავოს არჩევნებთან დაკავშირებულ კანონმდებლობაში მნიშვნელოვანი ცვლილებების შეტანისგან.

სამთავრობო უწყებები:

- სამართალდამცავმა უწყებებმა რეაგირება მოახდინონ და დაშინებისა და ძალადობის შესახებ განცხადებები დროულად, ეფექტურად და გამჭვირვალედ გამოიძიონ;
- თავისუფალი და სამართლიანი არჩევნებისათვის უწყებათაშორისმა კომისიამ და სხვა სამთავრობო უწყებებმა ცხადი და ერთობლივი ძალისხმევა გამოიჩინონ, რომ მოახდინონ ყველა საჯარო მოხელისა და საზოგადოების ინფორმირება იმის შესახებ, რომ ადმინისტრაციული რესურსის გამოყენების მიმართ შემწყნარებლობას არ გამოიჩენენ და რომ დამრღვევები დაუყოვნებლივ დაისჯებიან;
- მოძებნონ სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ადამიანური რესურსების გაზრდის გზები, რათა უზრუნველყონ პოლიტიკური ფინანსების შესაბამისი და ყოვლისმომცველი ანალიზი და საზოგადოებას დროულად მიაწოდონ ინფორმაცია;
- შესაბამისმა სამინისტროებმა უნდა შეიმუშაონ დეზინფორმაციის შესუსტების კონკრეტული სტრატეგიები, ანტი-ევროპული პროპაგანდის განეიტრალების შესახებ ევროკავშირის რეზოლუციის გათვალისწინებით;
- გაითვალისწინონ დეზინფორმაციის გავრცელების რეგულირების გზები, მაგალითად, სამოქალაქო სექტორთან და მედიასთან თანამშრომლობით მკაფიოდ განსაზღვრონ დეზინფორმაცია და შეიმუშავონ ფაქტების გადამოწმების საკოორდინაციო მექანიზმები.

საარჩევნო ადმინისტრაცია:

- მკაფიოდ განსაზღვრონ საუბნო საარჩევნო კომისიის პროფესიული ნიშნით შერჩეული წევრების კვალიფიკაცია და შერჩევის პროცედურები, მათ შორის მიუკერძოებლობის სტანდარტები;
- განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ საუბნო საარჩევნო კომისიის ტრენინგს ხმის დათვლისა და შეჯამების პროცედურებზე;
- ეთნიკური უმცირესობების საარჩევნო პროცესებში ჩართულობის მიმართულებით არსებული მიღწევების გასამყარებლად, გაითვალისწინოს ცესკოს ვებგვერდზე მნიშვნელოვანი ინფორმაციის სომხურ და აზერბაიჯანულ

ენებზე განთავსება. ეს საშუალებას მისცემს ამ ენებზე მოსაუბრეებს, უფრო ადვილად მოიძიონ საარჩევნო ინფორმაცია და სერვისები.

მედია:

- კანდიდატების შესახებ ინფორმაციაზე ამომრჩევლის წვდომის გასაზრდელად, მაუწყებლებმა არაკვალიფიციურ სუბიექტებს უფასოდ დაუთმონ მინიმალური სარეკლამო დრო, რათა მათ საკუთარი მესიჯების გავრცელება შეძლონ;
- საზოგადოებრივმა მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს საარჩევნო პროგრამებსა და გადაცემებში არჩევნებში მონაწილე სუბიექტების თანაბარი წვდომა და მათი პლატფორმების დაბალანსებული გაშუქება.

მართლმსაჯულება და სამართალდამცავი ორგანოები:

- პროკურორებმა და მოსამართლეებმა უნდა უზრუნველყონ 2016 წლის არჩევნების დროს მომხდარი და ბოლოდროინდელი პოლიტიკური ძალადობის შემთხვევების მიუკერძოებელი, დროული გამოძიება და სამართლის აღსრულება, რათა მომავალში მსგავსი შემთხვევები თავიდან აიცილონ. ეს უნდა მოიცავდეს ამ დანაშაულებების მომზადებასა და ხელშეწყობაში ჩართულ ყველა პირს.

მედიასა და დეზინფორმაციაზე მომუშავე სამოქალაქო საზოგადოება:

- მონიტორინგს უნდა უწევდეს დეზინფორმაციას არა მხოლოდ ძირითად მედიაში, არამედ შედარებით მცირე მედია-საშუალებებსა და პლატფორმებზე;
- ხელს უნდა უწყობდეს მედიის წიგნიერების პროგრამების განვრცობას, რათა მოქალაქეებმა შინაარსის და წყაროს გადამოწმების უნარები შეიძინონ და არ გახდნენ დეზინფორმაციის მომხმარებლები და გამავრცელებლები.

საერთაშორისო საზოგადოება:

- მხარი დაუჭიროს ადგილობრივ მედია საშუალებებს, რომელიც უფრო და უფრო დამოკიდებულია ადგილობრივი თვითმმართველობის ფინანსურ რესურსებზე, რათა უზრუნველყონ ამომრჩევლების წვდომა ადგილობრივი საარჩევნო კამპანიისა და კანდიდატების შესახებ ინფორმაციაზე;
- გაზარდონ სადამკვირვებლო ჯგუფების მხარდაჭერა, რათა მათ უზრუნველყონ ადმინისტრაციული რესურსების გამოყენების, კამპანიის დაფინანსების, ძალადობის, კანონის უზენაესობის დაცვის, მედიისა და დეზინფორმაციის კამპანიის შემთხვევების საფუძვლიანი მონიტორინგი. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი არჩევნების დროს, იმის გათვალისწინებით, რომ ამ არჩევნებზე საპარლამენტო არჩევნებთან შედარებით საერთაშორისო დამკვირვებლები ნაკლები იქნებიან.

NDI საკონტაქტო ინფორმაცია

დიანა ჩაჩუა, dchachua@ndi.org, [577 779639]

NDI არის არამომგებიანი, მიუკერძოებელი ორგანიზაცია, რომელიც საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეების აქტიური მონაწილეობის, მთავრობის გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულობის ხელშეწყობით მუშაობს დემოკრატიული ინსტიტუტების ხელშეწყობისა და განმტკიცებისათვის მსოფლიოში.

დამატებითი ინფორმაცია NDI–ისა და მისი პროგრამების შესახებ შეგიძლიათ იხილოთ ვებ-გვერდზე www.ndi.org.